

დროის ეფექტურად მართვის ხელშეწყობა თბილისის 131-ე საჯარო
სკოლის მე-5¹ კლასში

ნინო გოგიჩაიშვილი, მეგი ხუნაშვილი, თეა გაგუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ იგი წარმოადგენს ორიგინალურ ვერსიას და მასში გამოყენებული და ციტირებული სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალა დაცულია სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გოგიჩაიშვილი

მეგი ხუნაშვილი

თეა გაგუა

27.06.2014 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს თბილისის 131-ე საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევა ჩატარდა მეხუთე პირველ კლასში და საკვლევი საკითხი იყო დროის მართვის გაუმჯობესება საგაკვეთილო პროცესში. ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჩატრებული კვლევების მიმოხილვა, პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგია, აღწერილია კვლევის ეტაპები: პრობლემის იდენტიფიცირების, პრობლემის გამომწვევი მიზეზების, ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელების და ინტერვენციები შეფასების.

კვლევამ აჩვენა, რომ დროის ეფექტურად მართვა შესაძლებელია საგაკვეთილო გეგმების, თვითშეფასების რუბრიკის რეგულარულად გამოყენების შედეგად. რითაც უფრო მეტად სტრუქტურული და ორგანიზებული ხდება საკვეთილი, ეს ხელს უწყობს მასწავლებელს მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს დროის ეფექტურად გამოყენებაზე.

კვლევაში აღწერილია ის სტრატეგიები, რომლის გამოყენებაც ეფექტურად მივიჩნიეთ. პრობლემის კვლევისა და ინტერვენციის ანალიზმა მოგვცა საშუალება მეხუთე პირველი კლასის პედაგოგებისთვის შეგვემუშავებინა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ჩვენი აზრით გაუადვილებთ მათ სამუშაო პროცესს და დროის მართვა გახდება უფრო ეფექტური.